სამშობლო

ოთხშაბათი

23 დეკემბერი

წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ [illegible] 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს [illegible] ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ [illegible] მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ [illegible] განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონის პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების [illegible] ბეჭდვა თითოეულ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ., 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 248 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 248

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მარჩენის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა."

ტელეფონი № 76.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის

ქ. ქუთაისი ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ ქ. ქუთაისი

„სამშობლო"-ზე

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

ითანამშრომლებენ ეროვნულ დემოკრატიული მიმართულების საუკეთესო ძალები

რადგან ამ დღეებში ქაღალდის ფასმა კიდევ მოიმატა წლიურათ გაზეთი ეღირება 9 მან. ნახევარი წლით 5 მან., სამი თვით 2 მან. და 40 კ. თვიურათ 80 კ., ცალკე ნომერი 5 კაპ. დამატებით 7 კაპ. პროვინციაში **თვიურათ დაკვეთა არ შეიძლება**, ადგილობრივ კი თვიურათ დაკვეთა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვში.

ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს—4 მან., პირველ ივლისს—3 მანეთი და ენკენისთვეში 2 მან.

სოფლის მოამბეებს დასტამბულ კორესპონდენციაში მიეცემათ სასყიდელი.

წერილები უნდა იწერებოდეს ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვეულისა და სუფთა ხელით. დაწუნებულ წერილმან წერილებსა და ლექსებს რედაქცია არ შეინახავს და არც კისრულობს არავითარ მიწერ-მოწერას მათ შესახებ.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. თ. ციცაძე.**

„ქართული დრამა" **ქალაქის თეატრი.**

სადღესასწაულო რეპერტუარი.

1915 წელი, დეკემბერი, 27

მადამ სან-ჟენ

სარდუსი.

1916 წელი იანვარი.

ლალატი.

სუმბათაშვილისა.

იანვარი 1. ბენეფისი ეფ. მესხისა

მ ე დ ე ა.

იანვარი 2.

სამზადისი

ბედნიერი დღე

ირეთელისა (პირველად).

იანვარი 3.

უგვირგვინო მეფენი.

შანშიაშვილისა.

იანვარი 6.

მეფე ლირი

ვ. გუნიას გასტროლი.

ცალკე აფიშები არ გამოვა.

ყველა წარმოდგენები დაიწყება საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **შ. დადიანი.**

3—2

სანერგე ამერიკული ვაზის „კლო ქლურული"

ქუთაისში. კახიანაური, საკუთარი სახლი.

გვაქვს გასაყიდათ დამზადებული საკუთარ სანერგეში, იმერეთში, 300000 ლერწი **ამერიკული ვაზისა გიბრიდი, დამყნილი** და **დაუმყნელი.** საკუთარ ორ სანერგეში ფრანციაში ვაშზადებულია არა ნაკლები 800000 ძირისა, რომელიც მსურველს შეუძლია მოიტანოს რუსეთში, თუ უკეთუ დაკვეთის ცნობას მარტამდი გაგზავნის.

პრეისკურანტი და ახსნა-დარიგება მყიდველებს უფასოთ დაეთმობა. 10—2

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

„რუსეთი" („როსსია"),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვევონ თავი. ტელეფონი № 26.

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოების **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.**

დოკტორი მედიცინისა პრივატ-დოცენტი

ვ. პ. მესხიშვილი

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობებით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 ს. და საღამოს 6 ს. 8 ს. გოსპიტლის ქუჩა, № 6. თ.

გაბრიელ იოსების ძე

ექიმი გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავადმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ექიმი მულინი

ყელის, ცხვირისა და ყურების ღებულობს ავადმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.

თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

კბილის ექიმი რ. პ. სვანაძის ასული

მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.

თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯაძის) სახლი.

მასაჟით სამკურნალო **კაბინეთი**

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მეჭეჭებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას. ამასთან ვუვლი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს. სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავადმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: ვენერლის ქუჩა, ლორთ ქიფიანიძისსახლი. თ

ექიმი ა. მ. **ასათიანი.** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან ავადმყოფობის) ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქუჩის კუთხე, სახ. № 3. თ.

ბებია **მ. მ. კოხრეიძე**

უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავადმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპეას მაღაზიის პირდაპირ.

ელექტრო „**რადიუმი**" თეატრი

ორშაბათიდან, 21 დეკემბრიდან მხოლოდ სამი დღით დიდებული მხატრული პროგრამა.

განსაკუთრებით მოზრდილთათვის.

შურის მაძიებელი.

დრამა 4 ნაწ. არციბაშევის მოთხრობიდან, მსახიობების: მურატოვისა და სპერანსკის მონაწილეობით.

ხივა და ხიველები. სანახაობა.

სასიმო შეცდომით

კომიკური სურათი. მოსწავლეებს და ბავშვებს ამ სურათებზე არ დაუშვებენ.

ფასი ჩვეულებრივია.

მოწოდება

ამ თვის 27 რიცხვს, დღის 11 საათზე, ქუთაისში მთავრობის ვაჟთა გიმნაზიის დარბაზში დანიშნულია ქუთაისის გუბერნიის ყველა სახელწოდებისა და ტიპის დაწყებითი სასწავლებლების დამხმარე საზოგადოების დამფუძნებელი საორგანიზაციო კრება, რასაც საზოგადოების დამაარსებელნი აუწყებენ მასწავლებლებს და სთხოვენ დაესწრონ ამ კრებას. 3—2

ექიმი **ი. ჩარიძოვი** ქალაქ. საავადმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავადმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 —2 საათ, საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

ექიმი **ზ. დ. ნახარიძე** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის უთავადო ქალაქის თავის დ. ა. დადეშქელიანიძის სახლი. თვ.

უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი 21 დეკ. დასავლეთის ფრონტი. ჩარტორიისკის რაიონში და ზემო სტრ-პზე ჩვენ მოვიგერიეთ იერიში მტრისა, რომელიც ცდილობდა ჩვენი თხრილების მოახლოებას. მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ. მოუხედავათ მტრის მრავალ გზის თავგანწირული იერიშისა, ჩვენი ჯარის ნაწილები წინ მიიწევენ. მტრის ზარალი დიდია, ხელახლათ ჩავიგდეთ ტყვეთ 16 აფიცერი და 766 ჯარისკაცი, გარდა ამისა დიდძალი დაჭრილი ჯარის კაცი დარჩა ბრძოლის ველზე.

კავკასიის ასპარეზი.

შავი ზღვის ნაპირა რაიონში 19 დეკემბრის ღამეს ოსმალები შეეცადენ ჩვენს პოზიციებზე მოახლოებას, მაგრამ შეჩერებულ იქნენ ჩვენის არტილერიის ცეცხლით.

სპარსეთი. ქემანის მიმართულებით გასაღ ამადის სამხრეთ-დასავლეთით იერიში მივიტანეთ 500 სპარსელ ჟანდარმისაგან შემდგარ რაზმზე და უკუვაქციეთ ისიც. ჩვენარისგან ქალაქ კანგავერის ჩრდი-

ლოდითით. ამ შეტევის დროს რამდენიმე ათეული მოვკალით რამდენიმეც ტყვეთ წამოვიყვანეთ. ხელში ჩავიგდეთ დატვირთული ურმები. ჩვენ ადამიანის მსხვერპლი არ მოგვსვლია. ჩვენი ჯარის ნაწილებმა, რომელნიც სავარჯიშოთ იყვნენ, შესაფერი ცერემონიით პატივი სცეს ინგლისის დროშას, როცა იგი ინგლისის საელჩოს თავზე ააფრიალეს.

დანარჩენი დეპეშები იხილე მეოთხე გვერდზე

ომის ამბები.

(ჟურნალ გაზეთებიდან)

ბულგარეთში.

„ფრანკფურტერ ცეიტუნგის“ ცნობით სოფიიდან ბულგარეთის სახალხო კრების თავჯდომარემ ექ. ვარევს ამავე გაზეთის თანამშრომელთან განუცხადებია, რომ ტყუილია ის ხმები, ვითომც ბულგარეთს გადაეწყვიტოს დაპყრობილ ადგილების ანექსია. ეს საკითხი მხოლოდ ომის დასრულების შემდეგ გადაწყდება.

ავსტრიის სოც. დემოკრატები ზავს მოითხოვენ.

პარტიის ცენტრალური ორგანო „არბეიტერ ცეიტუნგი“ იტყობინება, რომ ამ დღეებში ვენაში მოხდა სოციალ-დემოკრატების, რეიხსტაგის დეპუტატების—კონფერენცია. კონფერენცია გაიხსნა სოც. დემ. ლიდერის ვიქტორ ადლერის სიტყვით, რომელმაც აღნიშნა, რომ ომი სასურველად დასრულებისათვის თანდათანობით დიდ მსხვერპლს თხოულობს. შემდეგ ხაზგასმით აღნიშნა, ომი გძელდება მიუხედავათ იმისა, რომ მისი მთავარი მიზანი ავსტრიის მონარქიის დაცვა—უზრუნველყოფილიაო. კონფერენციამ მოისმინა დანარჩენ ორატორების სიტყვაც და სურვილი გამოსთქვა გაიმართოს მოლაპარაკება მებრძოლ სახელმწიფოებთან ზავის პირობებზე.

დასასრულ კონფერენციამ იმედი გამოსთქვა, რომ მართველი წრეები ცენტრალურ სახელმწიფოებისა უფრო კონკრეტულათ გამოსახავენ თავის მისწრაფებას ზავის ჩამოსაგდებათ მებრძოლ სახელმწიფოებთან.

სპარსეთში.

ქამადანის და კუმის დაკავებამ და ჩვენი ჯარის ბრწყინვალე გამარჯვებამ თავრიზელებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ჩვენ საწინააღმდეგო აგიტაციას ნაკლები გავლენა აქვს მცხოვრებლებზე. ქალაქში სრული სიწყნარეა.

ქრონიკა

რუსეთი.

სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში.

ამ დღეებში ა. გუჩკოვის თავჯდომარეობით სამხედრო-სამრეწველო ცენტრალური კომიტეტის სხდომა მოხდა. აქ რამდენიმეთ გამოირკვა, თუ რა ნაყოფი მოიტანა დღემდე მრეწველობის მობილიზაციამ და რას უნდა მოველოდეთ მისგან მომავალში.

როგორც ოდესის კომიტეტის სანიტარულ განყოფილების წარმომადგენლის მოხსენებიდან აღმოჩნდა რუსული მრეწველობის ცდა, რომ „მაქსიმალური ტერმომეტრები“ შინ დაამზადოს (ომამდე გერმანიიდან მოქონდათ) ჩინებულათ დაგვირგვინებულა. ტერმომეტრები კარგათ დაუმზადებიათ და შემოწმების შემდეგ აღმოჩენილა, რომ ტემპერატურის ცვალებადობას ზედმიწევნით სწორათ უჩვენებს.

მაგრამ მეორე მომხსენებლის სიტყვებიდან არა სანუგეშო. მოვლენაც გამოაშკარავდა. ორენბურგ—თურგაის მხრის კომიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ადგილობრივ კომიტეტში ათასამდე სხვადასხვა მიმართულების წევრი ითვლება და მათ შორის ირიცხებიან როგორც უკიდურესი მემარჯვენეები, ისე მემარცხნეებიცო, მაგრამ დღემდე სრულათ დაცული ერთობა და თანხმობა ამ ბოლო დროს შეირყა და [illegible] სულ ერთიანათ დაირღვესო. რღვევის პროცესი მემარჯვენეებიდან დაუწყიათ. მემარჯვენეებმა პროტესტი განაცხადეს თურმე სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების წევრთა სიეზდის მოწვევის წინააღმდეგ. ისინი ამბობენ, რომ ასეთი „მიტინგების“ გამართვის ნებას ვერავის მივცემთო. ამის საპასუხოთ მუშათა ჯგუფი კომიტეტიდან სულ გასულა, რაც ძალაუნებურათ ბოიკოტის გამოცხადებას ნიშნავს.

მოსკოვის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტში მუშათა წარმომადგენლებმა კითხვა აღძრეს, რომ მათ ნება მიეცეთ მოსკოვის სამრეწველო დაწესებულებებში პერიოდულათ მუშათა კრებები გამართონ და მშვენელთ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის მოღვაწეობა გააცნონ. ამაზეც ცენტრალურ კომიტეტისაგან პასუხათ მიიღეს, რომ იგი მუშების ასეთ მოთხოვნას თანაგრძნობით უყურებს და უკვე მიმართა კიდეც, შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ მან მუშების მოთხოვნა დააკმაყოფილოს.

გამოირკვა, რომ სრულიად რუსეთის მუშათა-სიეზდის პროგრამის შესამუშავებლათ ცენტრალურ კომიტეტში მოსკოვის კომიტეტის მუშათა ჯგუფიც მიწვეულ იქნება. (რ. ვ.)

უცხოეთი.

საბრალმდებლო აქტი.

გერმანიის სოციალდემოკრატიის ოპოზიციონურ ჯგუფის მეთაურს კლარა ცეტკინს საბრალმდებლო აქტი ჩააბარეს. კლარას და მის ჯგუფს ბრალდება პროკლამაციის შედგენა და გავრცელება, რომელსაც სახელათ ეწოდება: „მთავარი მტერი შინვე გვყავს.“ ამისთვის მათ სახელმწიფო ღალატს აბრალებენ.

რა უნდა გერმანიას?

ჯერ ისევ ბისმარკმა სთქვა: გერმანიას კოლონიები იმდენათ არ სჭირდება, რამდენათაც აღმოსავლეთის ქვეყნისაკენ გზის გაკაფვაო. და აი, მას შემდეგ, რაც გერმანიამ თავი დავაჟკაცებულათ იგრძნო ეკონომიურ სარბიელზე, იგი კოლონიალურ პოლიტიკას იმ მიზნით აწარმოებდა, რომ აღმოსავლეთის ქვეყნები თავისი ეკონომიური გავლენის ქვეშ დაეყენებინა; და ყველასათვის აშკარაა დღეს, რომ მან საწადელს მიაღწია: აღმოსავლეთის ქვეყნებში, ამათ შორის მთელი რუსეთის სივრცეზე ნემეცს უკეთ იცნობენ, ვინემ სხვა რომელიმე ევროპიელს. ოსმალეთში, რუსეთში, სპარსეთსა და ჩინეთშიაც კი ნემეცი ყველაზე უფრო კულტურულ-განათლებულ ადამიანათ ითვლება. ნემეცური საქონელი, ნემეცური მანქანა ყველაზე უკეთესია. რუსეთისთვის, რომ ამ ორი წლის წინათ გეკითხათ ვისი გამოგონებაა რომელიმე ახალი მანქანა ან იარაღი, გიპასუხებდათ,—ნემეცისააო; თუნდაც იგი ინგლისელის ან ფრანგის ყოფილიყო. ჩვენში ნემეცთან ერთად ინგლისელსაც გიხსენებდენ, მაგრამ, რადგან ნემეცს პირადათ იცნობენ და ინგლისელს კი არა, ჩვენებიც „ყველაფერ კარგს“ უფრო ნემეცს აწერენ. და ეს მოხდა იმიტომ, რომ არაა აღმოსავლეთში ისეთი კუთხე, სადაც ნემცების კოლონია არ იყოს დაარსებული. ჩვენი დედა ქალაქის, თფილისის, ერთი დიდი საუკეთესო უბანი თითქმის სულ ნემცებს ეკუთვნის და ყველამ იცის, თუ რა საუცხოვო კულტურული ახალშენები აქვთ გამართული მათ თფილისის ახლო. ამას გარდა აღმოსავლეთის ყველა საყურადღებო ცენტრებში შეხვდებით ნემეცს, როგორც დარბაისელ ვაჭარს, ცნობილ ოსტატს, დახელოვნებულ მუშას და საქმის ღრმათ მცოდნე და განსწავლულ ინტელიგენტს. არაფერი ამის მსგავსი სხვა ერის შესახებ არ ითქმის. რა გასაკვირველია ამის შემდეგ, რომ აღმოსავლეთში ყველაზე უკეთესათ ნემეცს იცნობდენ! და აქ საყურადღებო უფრო ისაა, რომ ყველაფერ ამას ნემეცმა „მშვიდობიანი გზით“, კულტურული მუშაობით და შეუდრეკელი მეცადინეობით მიაღწია.

მაგრამ მალე ამ ასპარეზზე მას მძლავრი მეტოქე, მოცილე გამოუჩნდა. ეს იყო ძველი ბატონი—ჰეგემონი ინგლისი, რომელიც აღმოსავლეთის ბოლოს, ინდოეთს თავიდანვე ფლობდა და ახლა რუსეთთან და იაპონიასთან დაკავშირებული მთელი აღმოსავლეთის ხელში ჩაგდებას ლამობდა. ინგლისი თავის გავლენას აქ კულტურულ მუშაობაზე კი არ ამყარებდა და ამყარებს, არამედ საერთოდ თავის პოლიტიკურ ძლიერებაზე. მაგრამ მოგეხსენებათ პოლიტიკური ძლიერება თავისი მხრით ფიზიკურ ძალაზეა დამყარებული და აი ინგლისისათვის საჭირო შეიქნა ასეთი ძალა და რადგან მას ხმელეთზე ასეთი ძალა არ მოეპოებოდა, ამიტომ ის ამ მხრით ძლიერი მოკავშირის შეძენას შეუდგა. იპოვა კიდეც. ასეთი მოკავშირე გამოდგა რუსეთი, რომელიც თავისი ჯარის ძლიერებით მთელ ევროპასა და აზიაში განთქმული იყო. ამნაირათ გერმანიას აღმოსავლეთში წინ გადაეღობა ინგლისის ძლიერება—ფლოტი ზღვაზე, ხოლო ხმელეთზე რუსეთის ურიცხვი არმია, რომლის ერთი მცირე ნაწილი სპარსეთში შეიჭრა და იქ ნემეცურ გავლენის გაქრობას შეუდგა.

რა უნდა ექნა გერმანიას? რა თქმა უნდა ისიც ამ გზას უნდა დასდგომოდა და ძალისთვის ძალა უნდა დაეპირდაპირებია და ასედაც მოიქცა. მალე გერმანიამ საჭირო ფლოტი გაიჩინა, ჯარები გაიმრავლა და უმწვერვალესათ გაწვრთნა, თოფ-ზარბაზნის ტეხნიკა გაიუმჯობესა, ერთი სიტყვით, „მილიტარიზმი“ უმაღლეს წერტილამდე აიყვანა და აი მაშინ მთელმა ქვეყანამ მორთო ყვირილი: არიქა, თავს ვუშველოთ, ჩვენც მოვემზადოთ თვარა გერმანია თავისი განვითარებული „მილიტარიზმით“ ჩანგვთქავსო და მართლაც ყველა მილიტარისტულ მზადებას შეუდგა, ყველამ ჯარი და თოფ-ზარბაზანი გაიმრავლა. მხოლოდ ინგლისი ერთი მხრით მოკავშირე რუსეთის ძლიერი არმიის მოიმედე, ხმელეთზე [illegible] მოიმედე, ხმელეთის [illegible] ბის საჭიროებას უყურადღებოთ სტოვებდა და ისევ ძველებურათ „თავისუფალ ვაჭრობის“ პრინციპზე იდგა. ისიც უნდა ვსთქვათ, რომ კიდეც მოინდომებია მას ამ პრინციპის შეცვლა, რაც ჩემბერლენის მეთაურობით კიდეც სცადეს, მშრომელი ხალხი ამის ნებას მაინც არ მისცემდა. ასე იყო ომამდე, მაგრამ დღეს ომმა და გერმანიის სამხედრო ძლიერებამ ინგლისი ძალზე დააფრთხო: მან აშკარათ დაინახა, რომ ბატონობის შესანარჩუნებლათ და აღმოსავლეთში თავისი გავლენის განსამტკიცებლათ მისი ძლიერი ფლოტი და რუსეთის ძლიერი არმია არ კმარა. საჭიროა მასაც ჰყავდეს საკუთარი ძლიერი არმია, რომ სუეცის არხით და სპარსეთის ყურეში აზიის ნაპირებზე ბლომათ გადასხას და ამ საშუალებით გერმანიის მისწრაფებას ბოლო მოუღოს. სპარსეთში თუ დღეს რუსეთის არმია იბრძვის, ეს ინგლისის ინტერესებისითვის ბრძოლას სულაც არ ნიშნავს, ვინაიდან რუსეთის მიზანია სპარსეთის ჩრდილოეთ ნაწილში გამაგრდეს და დასავლეთიდან ოსმალეთ-გერმანიას გზა მოუჭრას; ეს კი ინგლისს არც ერთი არ ეხება. მისი ინტერესია სამხრეთ სპარსეთში გამაგრება და სპარსეთის ყურეს დაცვა. აქ კი მას დიდი საფრთხე მოელის! აი, რატომ არის დღევანდელი ინგლისის მინისტრი, ცნობილი ჯორჯი გამწარებული და რატომ დღე მუდამ სთხოვს ინგლისის მუშებს, რომ ყოველფრით ხელი შეუწყონ ინგლისის ჯარის ძლიერებას და ბრძოლის ველზე გამარჯვებას.

მაგრამ ინგლისისთვის ყველაფერი ეს დაგვიანებულია და ვინც იგვიანებს, დროზე საქმეს ვერ აწყობს, იგი აუცილებლათ მარცხდება. გერმანია კი როგორც ზემოთ ვსთქვით ბისმარკის დროიდან შეუდგა ამისთვის მომზადებას და თავისი სამხედრო ძალა საზღაპროთ განვითარდა. დღეს მან თავისი ეკონომიური გამარჯვება აღმოსავლეთში სამხედრო გამარჯვებით უნდა დაამტკიცოს და ამ გზით იქ პოლიტიკურათაც გამაგრდეს. აი, რა მთავარი მიზანი აქვს გერმანიის გალაშქრებას აღმოსავლეთისაკენ.

მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა, რომ ასეთ გამარჯვებას სახელმწიფოებრივი სანქციაც ჰქონდეს. ისტორიიდან ვიცით, რომ, როცა სივრცით პატარა სახელმწი-

---

ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ევოლუცია

(არჩილ ჯორჯაძის პოზიცია)

გაგრძელება იხ. „სამშობლოს“ № 56, 57, 238, 239, 240, 241, 246, 247,

VIII.

დავუბრუნდეთ ისევ არჩილს. როგორც ზემოთ დავინახეთ, არჩილი მთელ თავის ძალ ღონეს და ერუდიციას იმის მტკიცებას ანდომებს, რომ დღევანდელ დროს კლასთა ბრძოლის პრინციპით ხელმძღვანელობა სახიფათოა და მავნებელი ქართული ეროვნების დაცვისა და განმტკიცებისათვის; ამ უკანასკნელი მიზნის მისაღწევათ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მოპირდაპირე პარტიათათვის საერთო მოქმედების ნიადაგის გამონახვა. „ჩვენი ცხოვრება, ამბობს არჩილი, მდიდარია იმისთანა მოვლენებით, რომელნიც ჩვენს შეთანხმებულ მოქმედებას შინაარსს მისცემენ და რომელნიც გაავარჯიშებენ ჩვენი ერის თვით-ცნობიერებას. ენა და ლიტერატურა, მრეწველობა და მეურნეობა, თვით-მმართველობა და სახალხო მოღვაწეობა,—აი ის ფართო ასპარეზი, რომელზედაც ყველასათვის მოიპოვება ადგილი, ვისაც კი მართლა შესტკივა გული საქართველოს წარმატებისათვისო“. ჩვენ კიდევ გვექნება შემთხვევა შევეხოთ არჩილ ჯორჯაძის ეროვნულ პროგრამას; ეხლა გავითვალისწინოთ მისი სოციალური ფილოსოფია. დიდი შეცდომა და უსამართლობა იქნებოდა, რომ არჩილი თანამედროვე ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობის მომხრეთ და დამცველათ გამოგვეყვანა, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ჩვენში ვაჭრობა-მრეწველობისა და მეურნეობის გამაგრების და აყვავების მხურვალე მომხრე იყო და ის მიაჩნდა დღევანდელ ჩვენი ცხოვრების ვითარების უპირველეს მოთხოვნილებათ; სრულიადაც არა; არჩილის აზრით „ეკონომიური წინააღმდეგობის დაფარვა ჩვენს დროში შეუძლებელია, თუ ძველათ ეს წინააღმდეგობა ხშირათ შეუგნებელი იყო, ჩვენს დროში იგი აშკარა შეიქნა ხალხისათვის, მაგრამ ამგვარი განცხადება არ აკმაყოფილებს ჩვენებურ მარქსისტებს, რომლებიც არჩილს „ქართველი ბურჟუაზიის პირველი პუბლიცისტის“ სახელით ნათლავენ და მის ინტერესების ერთგულ დარაჯათ მიაჩნიათ იგი. რომ აიცილოს მარქსისტების ამგვარი სისტიკი ბრალდება და ყველასათვის ცხად-ყოს თავისი სოციალური პროგრამის დედა-აზრი არჩილი შემდეგ ნაირათ გვიმარტავს თავის პოზიციას სოციალურ საკითხში: „ქართულ კაპიტალიზმის და ქართულ მეურნეობის კითხვის გარკვევამაც ჩვენ დასთა შორის უთანხმოება და განხეთქილება გამოიწვიეს. რათა ჩვენი აზრი ამ საგანზე უფრო მკაფიო და ნათელი გამოჩნდეს, ვიტყვით: ნორმალურ პირობებში ამ კითხვის განმარტებაც ნორმალურია, ე. ი. ეკონომიურ მოვლენათა გამოსარკვევათ ეკონომიური კრიტერიუმია საჭირო. საფრანგეთის კაპიტალისტთა და მუშათა შორის განხეთქილება მაშინ მოისპობა, როდესაც შრომისა და კაპიტალის წინააღმდეგობა გაჰქრება. ინგლისის ლენდლორდების (დიდ-მემამულეების) ფერმერებს და სოფლის მუშათა შორის თანხმობის ჩამოვარდნა დამოკიდებულია წმინდა ეკონომიურ მიწათმფლობელობის ფორმათა შეცვლაზე“. მაგრამ, არჩილის აზრით, ჩვენში ჯერ არ არსებობენ საამისო პირობები და ამიტომ „ჩვენს პირობებში აღძრულ ეკონომიურ კითხვების განმარტება სხვა ნაირი უნდა იყოს. პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა საქართველოსი იმგვარია, რომ ჩვენ გვესაჭიროება ჩვენი ერის ეკონომიური გაერთიანება. ეს გაერთიანება, ვრცელ შრომის განაწილებაზე და არა კლასიურ ანტოგონიზმზე აშენებული, საჭიროა ჩვენი წარმატებისათვის“ არჩილი სრულიადაც არ ფარავს იმას, რომ ამ ნაირი სიტყვების თქმა ბურჟუაზიულ მწერალსაც შეეძლო, მხოლოდ მოითხოვს, რომ მის შემდეგ შეხედულებასაც კარგათ დაუკვირდენ და ასწონდასწონონ; „საქართველო, ამბობს არჩილი, ადრე თუ გვიან ვერ ასცდება კაპიტალისტურ პროცესს და აგრეთვე ამ პროცესის შედეგს, ესე იგი, შრომის გასაზოგადოებრივობას და მით შრომისა და კაპიტალის შორის წინააღმდეგობის მოსპობას“. ათი თორმეტი წლის შემდეგ ხელმეორეთ გაისმის არჩილის საყვედურის ხმა სოციალ-დემოკრატებისადმი, რომელთაც არც ახლა სწამთ სოციალ-ფედერალისტების სოციალისტობა, მიუხედავათ იმისა, რომ ისინი წინანდულათ აღიარებენ სოციალისტურ მოძღვრების ყველა დებულებას. არჩილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სოციალ-ფედერალისტები არ არიან პრინციპიალური მოწინააღმდეგენი სოციალ-დემოკრატებისა და საჭიროთ მიაჩნია მათი დაახლოვება საერთო მოქმედებისათვის. არჩილის თქმით ჩვენ საზოგადოებაში თავი იჩინა მიმართულებამ, რომელსაც ავტონომია გაუხდია თავის მისწრაფების მთავარ საგნათ და რომელსაც არც სოციალიზმთან და არც ფედერალიზმთან არავითარი კავშირი არა აქვს. თუ ამ მიმართულებამ ფესვები მოიკიდა, მაშინ და მხოლოთ მაშინ ეყოლებათ ჩვენებურ სოციალისტურ პარტიებს პრინციპიალური მოწინააღმდეგე პოლიტიკური პარტიაო“. სოციალისტ-ფედერალისტების ბანაკში ფედერალიზმის მოწინააღმდეგე ნაციონალისტ-ავტონომისტების თავის მოყრას დიდ შეცდომათ სთვლის არჩილი, რადგან „ნაციონალისტებს სახეში საქართველო ჰყავს, სოციალისტ-ფედერალისტებს საქართველოსთან ერთად კავკასიაც, რუსეთიც“. ამნაირათ ახლა ჩვენთვის დღესავით ნათელია, რომ არჩილ ჯორჯაძეს მარტო ნაციონალური დროშა არ ეჭირა ხელში; იგი შრომასა და კაპიტალს შუა არსებულ წინააღმდეგობის მოსპობას ნატრობდა და ხალხთა შორის „ძმობა-ერთობის და სოლიდარობის განმტკიცებაზე ოცნებობდა. ნაციონალიზმს არჩილმა ინტერნაციონალიზმი ამოუყენა გვერდში, ამ ორი, ერთი მეორის მოწინააღმდეგე პრინციპის ერთმანეთთან შეთანხმება-შეკავშირების ცდაში გამოაშკარავდა ნათლათ არჩილ ჯორჯაძის სოციალურ-პოლიტიკური პროგრამის ორიგინალობა და მისი სუსტი მხარეც. არჩილ ჯორჯაძის და მასთან ერთად მთელი სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიის ტრაგიზმი სწორეთ ამ დუალისტურ მდგომარეობაში, ერთსა და იმავე დროს ნაციონალიზმის და ინტერნაციონალიზმის პრინციპის სამსახურის აღსრულებაში უნდა ვეძიოთ, აუცილებლათ, რასაც ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, ხოლო არ შეგვიძლია აქვე არ აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ცხოვრების ზოგიერთ მეტათ საგულისხმიერო და საჭირბოროტო კითხვების ახსნა განმარტებაში ხშირათ შეურიგებლობა და შეუთანხმებლობა მყარდება არჩილსა და მის ეხლანდელ ოფიციალურ სულიერ მემკვიდრეთა შორის, რის განხილვას ამ ხანათ ჩვენ არ ვკისრულობთ, რადგანაც წერილი ისედაც მეტათ გაგვიგძელდა და თან ვშიშობთ, არ დაგვრჩეს გამოურკვეველი ჩვენი წერილის მთავარი საგანი, რომელზედაც ზემოთ ჩამოვაგდეთ ლაპარაკი.

ძლიერი და მომხიბლავია არჩილი, როცა იგი კალამს ხელს ჰკიდებს თავის დაბეჩავებული სამშობლოს მტერთა წინააღმდეგ ამხედრებული, მისთვის მიყენებულ უსამართლო ანუ მართებულ შეურაცხყოფისა და დამცირების მოსასპობათ, ერის დათრგუნულ უფლებათ აღდგენის საქადაგებლათ ან ქურდულათ შემოპარულ უკეთურთა და ორგულთა ხმის ჩასაკმენდათ და ასალაგმავათ. მეტათ ღრმა და საფუძვლიანია მისი ცოდნა და დაკვირვება, როცა ის ქართულ ვაჭრობა-მრეწველობის, ქართული მეურნეობის და კულტურის აყვავების საჭიროებაზე გვითითებს, ჩვენი ხალხის ნივთიერ და სულიერ გაღონიერებაზე გვებაასება, ჩვენი მიწა-წყლის, ძველი კულტურის და ხელოსნობის დაცვას გვიქადაგებს.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ჩვენი ეროვნების საჭირბოროტო და სასიცოცხლო კითხვებს მუდამ თავს დასტრიალებს და გვითვალისწინებს ახალგაზდური გატაცებით და აღფრთოვანებით თავის საყვარელი სამშობლოს ტანჯვით ვნებული მამულიშვილი. ამ დროს არჩილი მიუდგომელი, სასტიკი და შეუბრალებელი ხდება. საქმე თვის სატრფოს, სამშობლოს, ეხებოდა და იგი, ვითარცა შმაგი მიჯნური, არავის არ დაინდობდა, არავის არ გააქელვებდა და დაამცირებინებდა თავის საყვარელ მამულს და ყოველ ღონისძიებას იხმარდა თავის ქვეყნისათვის წარმატების და კეთილდღეობის მაქსიმუმის მოსაპოვებლათ. აქ ჩვენი წერილის ნაციონალიზმსა და ინტერნაციონალიზმს შორის კონფლიკტი უნდა მომხდარიყო აუცილებლათ, რადგანაც ქართული ეროვნული პოლიტიკა, რომელიც მან უნდა აწარმოვოს ქართული ეროვნების დასაცველათ, აუცილებლათ მოითხოვს „სამეზობლოთ“ მოსულ თუ მოწვეულ უცხო ეროვნებათა წინააღმდეგ ბრძოლას, რადგან ისინი წინ ეღობებიან, ხელს უშლიან ქართულ ეროვნულ ზრდა-ვითარებას, აფერხებენ მის ეკონომიურ და კულტურულ წინმსვლელობას. არჩილ ჯორჯაძე ხმამაღლა და გაბედულათ აღიარებს; „თანამედროვე ცხოვრებაში აუცილებლათ საჭიროა, რომ ჩვენს დაქვეითებულ ერს თავისი საკუთარი ორგანოები ჰქონდეს ყველა მის მრავალგვარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის“ მაგრამ დახეთ ჩვენ უბედურობას, რომ თითქმის ყველა ამ უპირველეს ორგანოებს მოკლებულია ქართული ეროვნება; ყველა ორგანოებზე უმნიშვნელოვანესი და უსაჭიროესი პოლიტიკური ორგანო, რომელზედაც მჭიდროთ არის დამოკიდებული ეროვნის დანარჩენ ორგანოების ნორმალური ზრდა-ვითარების საქმე, და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფის მსოფლიო იმპერიის შექმნა მოუსურვებია და ევროპიდან აზიაში გადასულა, იგი მალე დარღვეულა და მას დიდი ხანი და ბორჯი არა ჰქონია. ასეთი ბედი ეწვია ძველათ ალექსანდრე მაკედონელს, ქვეყნის მპყრობელს და ასეთივე ხვედრი ხვდა ახალი საფრანგეთის იმპერატორს, ნაპოლეონ პირველს, რომელმაც პირველში მიაღწია ფარაონების პირამიდებამდის და პირველმა შესძლო რუსეთის გულის მოსკოვის დროებით მაინც დაპყრობა. მაგრამ რადგან მას წინ არ უძღოდა და საფუძვლათ არ ჰქონდა არც მისი ქვეყნის ეკონომიური განვითარება—ძლიერება არც დიდი სახელმწიფოებრივი კავშირი, რომელსაც შეეძლებოდა დაპყრობილი ქვეყნების თავის გავლენის ქვეშ ხანგრძლივათ დაყენება, ამიტომ იგი მალე დამარცხდა და საფრანგეთმაც მსოფლიო მნიშვნელობა, გავლენა მცირე ხნითაც ვერ შეინარჩუნა.

სულ სხვაა დღევანდელი გერმანიის საქმე: მას, როგორც ზემოთ დავანახეთ, წინ მიუძღვის როგორც ევროპაში, ისე აღმოსავლეთშიც ეკონომიური უძლიერესობა, რასაც იგი დღეს სამხედრო ძლიერებითაც იცავს; მაგრამ ამასთან აუცილებლათ საჭიროა, როგორც ამას ისტორია გვასწავლის დაპყრობილ ქვეყნებში ეკონომიურ პოლიტიკურ გავლენას ერთი დიდი სახელმწიფოებრივი ორგანიზმი ხელმძღვანელობდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში გავლენა მალე გაქრება და გამარჯვება უნაყოფო დარჩება. დღემდე ისტორიამ მხოლოდ ასეთ ორგანიზმათ იმპერია წამოაყენა, მაგრამ ისტორიამვე ნათლათ გვიჩვენა, რომ დასახულ მიზნისთვის იმპერიაც სუსტია. აქ საჭიროა უფრო ვრცელი, შეერთებული ძალა, რომ მსოფლიოზე ხანგრძლივათ იბატონოს.

და აი ისტორიულმა მსვლელობამ დღეს მართლაც წამოაყენა როგორც ასეთი საჭიროება, ისე მისი დამაკმაყოფილებელი საშუალებაც. როგორც ვიცით, გერმანიის იმპერიალისტური ბურჟუაზიის იდეოლოგები კარგა ხანია ოცნებობენ ევროპის შუა გულის იმპერიის დაარსებას გერმანიის ჰეგემონიით.

და აი, ახლა, როცა ბრძოლის ველზე გერმანია გამარჯვების გზას დაადგა, მისი პოლიტიკოს იდეოლოგები აშკარათ აყენებენ კითხვას და პირდაპირ აღიარებენ, რომ გერმანიას სურს შეადგინოს შუაგულ ევროპის სახელმწიფოთა კავშირი, რომლის მიზანი იქნება მთელ ქვეყანაზე ეკონომიურათ და პოლიტიკურათ იმეფოს. ეს იქნება მსოფლიო იმპერია, ანუ უკეთ ვსთქვათ, იმპერიათა კოალიცია.

ამ კოალიციას შეადგენს ოთხი დიდი იმპერია და რამდენიმე სახელმწიფო. აქ შევა, როგორც ჰეგემონი გერმანია, მერე ავსტრია, უნგრეთი, ბულგარეთი, ოსმალეთი და სხვა.

აი რას ამბობს ამ კითხვაზე გერმანიის სახალხო პროგრესისტთა პარტიის ცნობილი წევრი, რეიხსტაგის დეპუტატი პაიერი: „სამშვიდობო ხელშეკრულობასთან ერთად ჩვენთვის საჭიროა ერთი საქმე აუცილებლათ მოვაწყოთ: ეს არის პოლიტიკური, სამხედრო და სამრეწველო გაერთიანება გერმანიის იმპერიისა ავსტრო-უნგრეთის მონარქიასთან. მართალია, საქმე მეტათ რთულია და ძნელი, მაგრამ ბევრი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ იგი მალე სრულიად დაგვირგვინდება და შემდეგ სხვა საქმესაც შევუდგებით: ეს იქნება იმ გზის გამოყენება, რომელიც ჩვენ ოსმალეთისაკენ გავიკაფეთ; ჯერ საჭიროა ოსმალეთთან ეკონომიური კავშირის განმტკიცება, ხოლო მერე ბალკანეთის სახელმწიფოების საშუალებით პოლიტიკური განხორციელებაც შესაძლებელი გახდება".

სწორეთ ასეთი შინაარსის რეზოლიუცია მიიღო ზემოთ დასახელებულ პარტიის კონფერენციამ და სწორეთ ასეთივე მიზნით გამართა ამას წინათ რჩევა თათბირი გერმანიის და ავსტრია—უნგრეთის ზოგმა მინისტრმა და რომ ეს კითხვა მთავრობას უკვე გადაჭრილი აქვს, იქიდანაც სჩანს, რომ ავსტრიის კაბინეტიდან ამ აზრისა და გეგმის მოწინააღმდეგე მინისტრები ყველა ადგილიდან გადააყენეს. მაშ საქმე მხოლოდ ბრძოლის ველზე საბოლოვო გამარჯვებას უცდის და როგორც კი ზავი ჩამოვარდება, შუაგულ ევროპის მსოფლიო იმპერიაც მზათ იქნება. აი რა სურს და რას ეტრფის გერმანიის იმპერიალისტური ბურჟუაზია!

დელი.

„სხვადასხვა ჭირი ჩვენზედა არ ახალია, ძველია".

ეს სიტყვები სწორეთ ზედ გამოჭრილია საქართველოზე. იქნება მკვდარი ჰგონიათ, მისი სხეულის დაწიწკნვასა და გადაყლაპვას რომ ლამობენ?!

ამ ხრით ისტორიული მნიშვნელობა აქვს სომხურ რუქას, რომელშიაც საქართველოსაგან ჩამოჭრილია ახალციხისა, ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრები და თფილისის მაზრის დიდი ნაწილი თფილისამდის! ეს რუქა მუდამ დარჩება სომეხთა გულნადების გამომამზეურებელ ძეგლად. მაგრამ გარეულებს რაღა უნდა დავემდუროთ, როდესაც შინაურებიც აღარა გვზოგავენ?! ჩვენი „სანდონები" რომ სრულიად უარყოფენ საქართველოს, როგორც ეროვნული ორგანიზმის ფუძეს, ეს კაი ხანია, მოვინელეთ, რადგან ბრძოლამ მათთან ამის გამო ფუჭად ჩაიარა და ამისთვის კიდევ ტყვია-წამლის დახარჯვა ახლა უსარგებლო იქნებოდა. მაგრამ „სანფარებიც", ე. ი. ესინი, რომელთაც დღემდის ეროვნული დროშა ეჭირათ, რომ გადაგვიდგენ, ამას ჯერ კიდევ ვერ შევრიგებივართ.

ერთი რამე კი არის აღსანიშნავი. „სანფარებს" ამ საკითხში დიდი მერყეობა ემჩნევათ. მაგალითად, „სახალხო ფურცელი" სომხებს ხან მარტო ახალქალაქის მაზრას უთმობს, ხან რამდენსამე მაზრას (იხ. „სიტყვას" უკანასკნელი ფელეტონი). „იმ-ამმა" კი თითქმის ყველა ხსენებული მაზრა ხან მარტო სომხებს უწყალობა, ხან სომხებსა, თათრებსა და ლეკებს გაუნაწილა.

წაიკითხეთ აგრეთვე „მეგობრის" № 68-ის მეთაური. ავტორი, რომელიც წინად „სანფარების" მიერ სოხუმის ოლქის შუაში გაჭრას ადასტურებდა, ახლა იმ აზრის არის, ეს ოლქი მთლად ქუთაისის გუბერნიის განუკვეთელ ნაწილად უნდა დარჩესო.

მაგრამ მერყეობა ასეთ სამძიმო საქმეში დიდი დანაშაულობაა! და „სანფარები" მოვალე არიან მოიცალონ, მოილაპარაკონ და ერთხელ და სამუდამოდ გადასჭრან ეს საკითხი!

ყველაზე უფრო კი სოხუმის ქალაქის თვითმართველობის შუამდგომლობამ გაგვაოცა! მას მოუწადინებია, ზუგდიდის მაზრა ქუთაისის გუბერნიას ჩამოსჭრას და სოხუმის ოლქს მიაკეროს, რომ ამგვარად ახალი გუბერნია გამოსჭრას!

ბატონებო! ჩვენი ქვეყანა გამონაცვალი სამოსელი კი არ არის, რომ მისგან ახლის შეკერვა შეიძლებოდეს! საამისო მაკრატელი განა მოიპოვება სადმე?!

დავანებოთ თავი იმას, რომ სამასი ათასი კაცი ერთ გუბერნიას ვერ შეადგენს. ჩვენთვის კიდევ ის უფრო ყურადსაღებია, რომ ეროვნული ერთობა და კავშირი არ დასუსტდეს და, მერე, ვის ჰქონდა ნება გადაეწყვიტა ზუგდიდის მაზრის ბედი ისე, რომ მათ არც კი დაკითხებოდა?! განა მათ უკეთ არ იციან, რაა მათთვის ავი და რაა კარგი?! და განა არამკითხე შუამდგომელთ უხმოთ კანცელარიებში არ ჩამოერთმევათ მათი საქციელი!?

რაც შეეხება სომეხ მოიჯარადრეთა რუსეთის ქვეშევრდომობას, გავბედავთ და პირდაპირ მოვახსენებთ ჩვენს მეზობლებს: ქართველი ერი ყოველთვის სტუმართმოყვარე ყოფილა და მტერთაგან ლტოლვილსა და გადმოხვეწილ სომეხთ ყოველთვის საქართველო ჰქონიათ თავშესაფარათ, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან სტუმრებმა მასპინძელთა ამაგი დაივიწყეს, თვითონ მოინდომეს ბატონობა და ქართველი ერის ისტორიულ უფლებას წინ გადაუდგნენ. ეს კი ორივე მხარისათვის საზიანოა!

დიაღ! სომეხთა უფლებრივი მდგომარეობის გაძლიერება საქართველოში ვიწრო სომხური პოლიტიკური მიმართულების შემოტანასა და, მაშასადამე, ქართველ სომეხთა ურთიერთობის გამწვავებას მოასწავებს.

სჯობია დარჩენ ჯერ სტუმრებად და ვურჩევთ, საზოგადოდ ნუ აჭარბოებენ ჩვენში ჩვენი ეროვნული უფლების წინააღმდეგ პოლიტიკას. იცავონ და განავითარონ თავისი ეროვნული კულტურა, რომლისათვისაც, იცის უფალმა, არაოდეს ხელი არ შეგვიშლია.

დასასრულ. არ შეიძლება არ მივმართოთ სოხუმის თვითმართველობის წევრებს: ვიდრე რომელსამე დიდ საკითხს გადასწყვეტდეთ, ჯერ ფართო ინტელიგენტურ საზოგადოებას დაეკითხეთ, და მარტოდ მარტონი ისეთ მძიმესა და პასუხ-საგებ საქმეს, რომელსაც საერო მნიშვნელობა აქვს, ნუ კისრულობთ!

ისარი.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

ვასილ ბეჟანიშვილმა თხოვნა შეიტანა ქუთაისის კლუბის მამასახლისთა საბჭოში, რომ მას მიეცეს ეკონომის ადგილი.

✦ ადგილობრივ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტს სთხოვს სამხედრო სამრეწველო ცენტრალური კომიტეტი გაუგზავნოს მას ადგილობრივი კომიტეტის შემადგენლობის სია.

✦ 26 იანვარს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დარბაზში გაიმართება ტკაჩის საღამო.

✦ ქუთაისის მცხოვრებს ტომით რუსს ივანე ნიკიფოროვიჩ ტომილინს [illegible] აქვს ქ. ქუთაისში და ქუთაისის გუბერნიაში დააარსოს ცხოველთა მფარ[illegible]დოები. ამის გამო მან უკ[illegible] თბილისიდან იქ უკვე არსებულ ცხოველთა საზოგადოების წესდება.

✦ 21 დეკემბერს ქუთაისის ქართული გიმნაზიის დარბაზში ქნ. ელენე ჩიქოვანის მეუღლის მეთაურობით ამავე გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ გაიმართა საღამო. საღამოს დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

✦ 21 დეკემბერს ორპირის ქუჩაზე ჟანდარმერიამ ადგილობრივ უბნის მოქალაქის თანხლებით გაჩხრიკეს კობეშავიძის დუქანი.

✦ ქართ. შორ. წ. კ. გამ. საზოგ. ქუთ. განყოფილებამ წერილებით შეატყობინა ყველა განკარგულებაში მყოფ სამკითხველოს საზრუნველო კომიტეტს დაუყონებლივ შეატყობინოს რა და რა გაზეთი გამოუწეროს გამგეობამ სამკითხველოს 1916 წლისათვის.

✦ ქუთაისის საგუბერნიო საერობო აგრონომის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი ბალდანოვი გუშინწინ გაემგზავრა სენაკს სამეურნეო საზოგადოების კრებაზე დასასწრებლათ.

სოფ. ქვილიშაში ადგილობრივი მცხოვრებთ განუზრახავთ დაარსონ სამეურნეო 4 კლასიანი სასწავლებელი.

სოფ. თერჯოლის (შორაპნის მაზრა). მღ. იოს. ბარბაქაძეს 4 დეკ. მოპარეს 158 მ. ფულით და 1955 მ. ფქვილები.

✦ 20 დეკემბერს, ბაზრის ზედამხედველმა ჩარჩებს ისაია წყებლაძეს და ვალოდია მტრეველს ოქმი შეუდგინა ბაზრის წესრიგის დარღვევისათვის.

✦ ამ ჟამათ სიმინდის ფქვილი ბაზარზე ორ მანეთად ფასობს.

✦ 20 დეკემბერს შესდგა ქუთაისის მომხმარ. საზოგად. „კოოპერაციის" კრება, რომელმაც დაადგინა მოიწვიოს განსაზღვრული ჯილდოთი მართველი, შობა-ახალ წელიწადს მიეცეს მუშებს თავისუფლება. დაუყონებლივ დაიწყოს მოქმედება ახლა აშენებულმა ფურნეებმა და გაიხსნას განყოფილებანი იმ ადგილებში, სადაც შეკავშირდენ წევრები და შემოიტანონ არა ნაკლებ ოცდაათი კაცისა საწევრო და საპაიო გადასახადი.

შეცდომის გასწორება.

გუშინდელ ჩვენს რეცენზიაში შეცდომით არის დაბეჭდილი: რეცენზენტმა ის იცის; ილიუზიაც; ამა თუ იმ ეპოქის, სხვე-პვეა; ცბილი, ძარაულათ.

უნდა იყოს: რეცენზენტმა არ იცის; ილლუზიაც; ამა თუ იმ ეპოქის; მხხვერმლათ; ტკბილი; ქართულად და სხვა.

დი ხანია გაუქმებული გვაქვს, გაუქმებულია აგრეთვე რელიგიური ორგანო, ერის თავისებური სარწმუნოებრივი სახის მცველი და მატარებელი; უცხო ხელში გადასვლას ლამობს ჩვენი ერის მასაზრდოებელი და წელში გამმაგრებელი უპირველესი საშვალებანი ვაჭრობა-მრეწველობა და მეურნეობა—ეროვნული ორგანიზმის ეკონომიური ფუნქციების აღმასრულებელი ორგანოები; ამის გამო ძალზე დასუსტებულია ერის დანარჩენი კულტურული ორგანოები (იურიდიული-ესთეტიური და სხვა) მაშასადამე, ქართული ეროვნების აუცილებელ და დაუყონებელ საჭიროებას, არჩილის აზრით, წარმოადგენს დაკარგულ პოლიტიკური ორგანოს აღდგენა ოდნავათ [illegible] „ნაციონალური ლიტერატურის" განვითარება, ნაციონალური მეურნეობის აღდგენა, გამაგრება და ნაციონალური მრეწველობის შექმნის აუცილებლობა". ამ უძლიერეს ეროვნულ მიზნის მისაღწევათ ხომ ბრძოლაა აუცილებელი, პირველ ყოვლისა ჩვენი პოლიტიკური თვითარსებობის მოსპობ ძალის წინააღმდეგ, უცხო ერის სახელმწიფოსთან*, რომელიც ყოველ ღონის ძიებას და საშვალებას ხმარობს, როგორც თავის ეროვნების ინტერესების დარაჯი და მცველი, დაჩაგროს ჩვენი ეროვნება და თავისი გავლენა გაამეფოს ჩვენი ცხოვრების ყოველ სფეროში. მეორე მხრივ, ხომ ყველასათვის აშკარაა, თუ როგორ სარგებლობენ ჩვენი პოლიტიკური დაქვეითებით გამოწვეულ დაუძლურება-სისუსტით ჩვენი მეზობელი ერები და ხელიდან გვაცლიან ჩვენი წინაპართა ოფლითა და სისხლით მორწყულ მიწა-წყალს, მამულ-დედულს, რომლიდანაც ჩვენებს ყრიან და თავისიანებს ასახლებენ, თავიანთ მეურნეობის და ალებ-მიცემობის გამაგრებას და განვითარებას სცდილობენ ჩვენს ხარჯზე ჩვენს ქვეყანაში ჩვენი ნაციონალური ინტერესის წინააღმდეგ. ამნაირია ჩვენი ერის ვითარების დღევანდელი საზარელი სურათი. რა გზას უნდა დაადგეს ამ შემთხვევაში ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობის მოსურვე საზოგადო მოღვაწე, რომელი დროშა უნდა აირჩიოს არჩილმა, ნაციონალური, რომელიც შეურყევლათ მოითხოვს ქართველი ერის ინტერესების ფერხზე დამთრგუნველ და შემლახველ ძალთა წინააღმდეგ გაბედულ გალაშქრებას დაუყონებლივ, თუ ინტერნაციონალური, რომელზედაც აწერია: ძმობა, ერთობა და სოლიდარობა ყოველ ერთან. არჩილი ერთ წუთსაც არ ყოყმანობს და იღებს ეროვნულ დროშას და იწვევს „ჩვენი ქვეყნის ერთი-მეორის მოპირდაპირე დასებს საერთო შეთანხმებულ მოქმედებისათვის, რადგან არჩილის აზრით „გარედან მტერი მოგვდგომია და ამ დროს შეუძლებელია კლასთა ბრძოლა გავუხადოთ საფუძვლათ ჩვენ პრაქტიკულ მოქმედებასო" პირიქით დაუყონებლივ საჭიროა მთელი ეროვნული ძალების მობილიზაცია, ეროვნულ ინტერესის კერძო, კლასიურ ინტერესზე მაღლა დაყენება და ყოველი ღონისძიების მიღება, ნაციონალურ მრეწველობისა და მეურნეობის ასაყვავებლათ. „კაპიტალიზმის გაზდა-განვითარებამ საქართველოში, ამბობს არჩილი, ნაციონალური მიმართულება უნდა მიიღოს, ამისათვის კი მფარველობითი სისტემის შემოღებაა საჭირო ქართველ ვაჭრების გასამრავლებლათ და ამ მიზნის მისაღწევათ კი სინდიკატებისა და ამხანაგობების დაარსება, ვინაიდან ამ ხერხით შეიძლება შესდგეს პატარა თანხიდან დიდი სავაჭრო კაპიტალი". აგრეთვე უნდა ვეცადოთ, გვირჩევს არჩილი, რომ გასაყიდელი მამული ან ქართველმა გლეხკაცობამ შეისყიდოს, ან კიდევ ქართველმა ვაჭარმა. ჩვენი მიწა წყლის უცხოელების ხელში ჩავარდნას, ისევ, თუ კი შეიძლებს, ქართველ თავად-აზნაურობას შერჩეს იგი. ხალხის საერთო კეთილდღეობა მოითხოვს, რომ მამული მაინც ქართველს დარჩეს, გლეხია იგი თუ თავადი". ამ საქმის მოსაგვარებლათ არჩილის აზრით იმავე საშუალებას უნდა მივმართოთ, რომელსაც პოლონელებმა მიმართესო სილეზიაში ამავე მიზნისათვის მისაღწევათ, რომელიც ჩვენ გვწადია. სახელდობ ეროვნული ბანკის დაარსებას, რომელსაც მიზნათ ექნება ყოველი ქართველის მიერ გაყიდული მამულის შეძენა და ამ შეძენილ მამულების ნაწილებათ ან ერთიანად მიყიდვა ქართველებისათვის „თუ ფულიანი მყიდველი გამოუჩნდებოდა გასასყიდ მამულს აზნაური იქნება იგი, თუ არა და, ბანკი განაწილებდა ხსენებულ მამულს და გრძელ ვადიან სესხის საშუალებით ქართველ გლეხკაცობას მიჰყიდდა".

ჩვენი ტერიტორიის შენარჩუნების საკითხი უმწვავესი და უპირველესი საკითხია არჩილისათვის, ვინაიდან „ჩვენს ხალხს, ჩვენს ეროვნებას და პიროვნებას გადაგვარება და გაქარწყლება მოელის ჩვენ მიწის ნახევარსაც რომ უცხოელები დაეპატრონონ".

სხვა და სხვა კუთხეში აყრილ უმიწაწყლო ხალხის ჩვენს ტერიტორიაზე დაბინავება საზარალო საქმეა, რადგან: რომ კიდევაც გვქონდეს თავისუფალი ადგილ-მამული, იგი საჭირო შეიქნება ქართველი მოდგმის ხალხის გადაწყვა-გადმოწყვისათვის თავის ხანგრძლივ ისტორიული ცხოვრების განმავლობაში ოფლით და გარჯით მოპოვებულ მიწა წყალზე. ინტერნაციონალურ სოციალიზმის თვალსაზრისით კი, გაჭივრებულ ხალხს, სულ ერთია რომელ ეროვნებასაც არ უნდა გაუთვნოდეს იგი, ხელის გაწევა და დახმარება ესაჭიროება: და ამიტომ ქართველი ტერიტორიის კარები მათთვის ღია უნდა იყოს; არც ქართული ნაციონალისტური ვაჭრობა-მრეწველობის მფარველობა უნდა გავიხადოთ ლოზუნგათ დღევანდელ თავისუფალ კონკურენციის პრინციპზე დაფუძნებულ აღებ-მიცემობისა და თავისუფალ მისვლა-მოსვლის ხანაში. ამ შეხედულების ძალით სულ ერთია რა ტომის კაციც უნდა იყოს მემამულე, ან მრეწველი. ქართველი მემამულე, როგორც კაპიტალისტი, ისეთივე მტერია მუშისა, როგორც იქნებოდა სომეხი, რუსი და სხვა. არჩილის შეხედულება კი ჩვენს ეხლანდელ მდგომარეობაზე და მოქმედებაზე, ჩვენ თავს ნებას ვაძლევთ, მისივე შესანიშნავი სიტყვებითვე გამოვსახოთ „რთული და საშიში საკითხი ქართველთა ცხოვრებისა ის კი არ არის, რომ ჩვენს ეკონომიურ დამოკიდებულებაში უთანხმოება-ის უთანხმოება, რომელიც ყველა თანამედროვე საზოგადოებათა ცხოვრებაშიაცაა (არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს უთანხმოება ჩვენში ნაკლებათ მწვავეა), არამედ ის, რომ მთელი ჩვენი ერი და ქვეყანა განსაცდელშია, რომ ჩვენს ერს თანდათანი გადაგვარება მოელის. ჯერ ერი უნდა დავიცვათ და მერე ის ვიზრუნოთ, თუ რა გზაზე დავაყენოთ იგი. როდესაც მოწამე ხარ ერის გადაგვარებისა, როდესაც ჰხედავ, რომ ეს გადაგვარება ერთნაირათ ემუქრება ხალხის ყველა კლასსა, პირველი აზრი, რომელიც უნდა დაიბადოს ამ ხალხის გულის სიღრმეში—თუ ჯერ კიდევ სრულიად არ არის ღონე მიხდილი, არის აზრი საერთო ღონისძიებისა და საერთო მოქმედებისა თავის ვინაობის დასაცავათ და შესარჩენად". ვისაც გულწრფელათ სურს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წარმატება და კეთილდღეობა, მუდამ ჟამს უნდა ახსოვდეს ეს ჩვენი ეროვნული მოქმედების ფილოსოფიის იშვიათი სიცხოველით გამომხატველი შესანიშნავი სიტყვები.

დასასრულ, საჭიროთ მივაჩნია ორიოდე სიტყვით შევეხოთ არჩილის შეხედულებას რუსეთის იმპერიის ფარგლებში მცხოვრებ ერთა ურთიერთი დამოკიდებულების საკითხს, რადგანაც ამ ურთიერთობის ასე თუ ისე გადაწყვეტაზე არის დამოკიდებული საქართველოს მომავალი პოლიტიკური ბედ-იღბალი. არჩილი აღიარებს რუსეთში და კავკასიაში მოსახლე ყველა ერებისათვის პოლიტიკური ავტონომიის საჭიროებას და ამ ავტონომიურ ერთეულთა შეერთებას ფედერატიულ პრინციპზე აგებულ პოლიტიკურ კავშირში. ამნაირათ არჩილმა ნათლათ და მკაფიოთ წამოაყენა რუსეთში და კავკასიაში მცხოვრებ ეროვნებათა ფედერაციის საკითხი, ხოლო უმთავრესი ყურადღება მან მიაქცია კავკასიაში მობინადრე ერების ფედერატიულ საფუძველზე შეკავშირების პრობლემას, ხოლო, რადგან ეს მეტათ რთული და ძნელი კითხვაა, რომლის გადაჭრაც შორეულ მომავალს უნდა მივაკუთვნოთ,

პირველათ ყოვლისა საქართველოს კულტურულ-ეკონომიური აღორძინება

და შემდეგ მისი, თანაბარ პირობებში მყოფ, ერებთან შეკავშირების საკითხი, აი, მოკლეთ არჩილ ჯორჯაძის ნაციონალურ-პოლიტიკური პროგრამის ნამდვილი შინაარსი.

ვისაც სურს არჩილის მსოფლმხედველობის, მისი სულის-კვეთების და მოღვაწეობის ნამდვილი მიმართულების და შინაარსის გაგება,—ეს აუცილებლათ უნდა ახსოვდეს და მუდამ ჟამს თვალ-წინ ედგეს, თვარა ძვირფასი მასწავლებლის მიერ ნაჩვენებ გზას აცდება და სხვა უცხო სამეფოში შეტოპვა ძლიერ ადვილათ შეიძლება მოხდეს, როგორც ეს მისი მოძღვრების ოფიციალურ წარმომადგენლებს, სოც. ფედერალისტებს დაემართათ.

ა. თორაძე.

---

* არჩილს მეტათ ორიგინალური შეხედულება აქვს სახელმწიფოზე; მისი აზრით, სახელმწიფომ წარმოშვა ეროვნება და ეროვნულ შემეცნებასაც იგივე სახელმწიფო ამუშავებს; არჩილი ამბობს: „სახელმწიფოს შესახებ არ ითქმის, რომ იგი კლასია ან რომ კლასი სახელმწიფოა, ამიტომ არც ის ითქმის, რომ ამა და ამ კლასმა შექმნა ეროვნებაო. განსაზღვრულ [illegible]ლასს შეუძლია განსაზღვრული ელფერი მისცეს ეროვნულ შემეცნებას". ა. ჯორჯაძე. წიგნი 1 გვ. 61.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ფელეტონი.

ავათმყოფის ფიქრები.

ა.

დედა, მეშინია სიკვდილისა...

შუაღამეა... მე ვწევარ. თვალები სისხლით ამევსო... ენა სასაზე მიმეკრა... მთელი ტანით ვძაგძაგობ... თმა ყალყზე მიდგება და ვიხვევი საბანში... რათ უნდა მოვკვდე. დედილო, რათ? ვისთვის რა დამიშავებია, რომ ასე კინწის კვრით გამომისტუმრა ქვეყნათ და ასე კინწისკვრით მისტუმრებს... ეი! გაიგონეთ, მე სიცოცხლე მინდა; მე ცხოვრება არ მომბეზრებია!

აი, იქ თამრო წევს, ჩემი პატარა და... სუ! ჩუმათ... არ გააღვიძოთ!.. ის ყველას ძალიან გვიყვარს... წამოიზრდება... გიმნაზიას დაასრულებს... შეუყვარდება ვინმე, მისთხოვდება და იწყებს ბედნიერათ ცხოვრებას... ამ დროს საიდანაც მოეპარება ულმობელი სიკვდილი და პატარა თამროს, მაშინ კი ქ-ნ თამარს, ჩაასვენებენ ცაცხვის კუბოში და სამარეში ჩაუშვებენ... ზედ მიწას მიაყრიან—თითქოს ეხლა ხდება—...ბახ! ბახ! ბახ!—ხმას უშვებს კუბო და სამუდამოთ მოსწყდება ცხოვრებას თამარი, ისე ვით, მეტეორი ცას...

დედა, მეშინია სიკვდილისა...

ჩემო სატრფო, აქა ხარ? მომეცი ხელი: მე კი პირველათ რომ გითხარ იმ ლექს გეტყვი:

„თვით ღმერთ ტრფობისას რომ მოესურვა
ხორც-შესხმით კლენა ოდესმე ქვეყნათ,
უკეთეს სახეს ვერ აირჩევდა
თვის ცხოველის გამომსახველათ!"

გენაცვალე, ისევ შავი თვალები გაქვს? ფერი ხომ არ უცვლია შენს ლამაზს ლოყებს? კიდევ ისე ბროლივით თეთრია შენი გულ-მკერდი?.. მერე რა, ჩემო კარგო, ჩემო ძვირფასო! შენც ხომ სიკვდილი არარათ გაქცევს, შენს ლამაზ გულ-მკერდს და კოკობ ძუძუებს საფლავის ჭიები დახრავს; შენს გიშრის თვალების ნაცვლათ ხომ ორი საზარელი ხვრელი გაკეთდება და, ვაიმე, უბრალო ჩონჩხათ უნდა იქცე, უბრალო ჩონჩხათ!

დედა, მეშინია სიკვდილისა!

რას ქვითინებთ? ცრემლებს რადა ღვრით ტყუილ უბრალოთ? მე ხომ მთლათ არ ვკვდები: აი შეხედეთ მაგიდაზე ჩემს თხზულებებს, იმათშია ჩაქსოვილი ჩემი სული და გული. მაშ, რა გატირებთ? მე სიკვდილი ვერ მომეკარება... ხა! ხა! ხა! რა ძვირფასი ნუგეშია! შექსპირის, გიოტეს და შილერის ნაწერებს კაცობრიობა იზეპირებს, მერე მათ რა? მითხარით, სად არიან ისინი: ცაში თუ მიწაში, მთვარესა თუ ვარსკვლავებზე? ცოტათი მაინც მიმაგნებინეთ, დამიხატეთ რუკა იმ ადგილისა, სადაც ისინი მშვიდათ მსჯელობენ ან ეძლევიან მწუხარებასა... თუ შეგიძლიათ, აბა, დამიხატეთ ჩქარა! ჩქარა! დედა, მეშინია სიკვდილისა!

სად მოაბიჯებ, სად? საშინლათ რომ დღრეჭილხარ და მხარზე ცელი გაგიდევია. ვინ გპატიჟობს? ხომ გესმის ჩემი სიტყვები: მე ჯერ არ მინდა გულზე ხელები დავიწყო; მე ჯერ არ მინდა სამუდამოთ თვალები დავხუჭო. აი, შეხედე, სტირიან: ენანებათ ჩემი სიკვდილი... შორს!... შორს!... მომეცით ჩქარა ჩემი ხანჯალი... კარები მაგრათ მიხურეთ... დარაბები გადარაზეთ... იქნებ ვერ შემოვიდეს...

ოხ! დედა, მეშინია სიკვდილისა!...

ჩემი მეგობარი.

ბ

მე მყავს მეგობარი... უნდა ნახოთ, როცა ის მწუხარებაში მყოფს თანაგრძნობას მიცხადებს: სახეს მიღრუბლავს, მოიწყენს, შუბლს დაინაოჭებს, ხმას აიკანკალებს და ნაღვლიანათ მეტყვის: „ჭეშმარიტად მეწყინა, საშინლად მეწყინა"... აი კიდეც დამემშვიდობა და გზას გაუდგა... სუ! ჩუმათ! ფეხ აკრეფით გავყვები... შეხედე როგორ ხარხარებს; უბედურებას ჩემსას ჩემს სისულელეს მიაწერს...

ყოჩაღ, მეგობარო, ყოჩაღ!

უნდა ნახოთ, როცა ის რაიმე სასიხარულოს მილოცავს. სახეს ღიმილის იერს მისცემს, თვალებს დააჭყეტს, ხელს მაგრათ დამიჭერს და მეტყვის: „ოხ! როგორ მიხარია! როგორ მიხარია! მეც ვატყობდი რომ ეს ასე მოხდებოდა, მომილოცავს!" სუ! ჩუმათ! ფეხ აკრეფით გავყვები: სად გაქრა ნეტა ის ღიმილი... მოწყენილია... ხელებს აფენს და თან გულ მოსული ბუტბუტებს: „ჰმ, რა ბრმა რამ ხარ, ბედნიერებავ! უთუოდ სულელს მიაგნებ!"

ყოჩაღ, მეგობარო, ყოჩაღ!

ბედნიერების წყაროსაკენ.

გ.

უღრან ტყეში გზას ავცდი... სახეზე ოფლი წურწურით ჩამომდის; ფეხები სისხლით შეიღება; თავპირი ეკლებმა დამიკაწრა და აქეთ-იქით დავძრწი... მზე ეხლა უთუოდ დასავლეთისაკენ იქნება გადახრილი. მე ცას ვერ ვუყურებ და ნათლად ვერაფერსაც ვერ ვხედავ: ხეების ტოტები გადამეფარა და სინათლე დამიმალა.

დილას, როგორც კი ავდექი, ბედნიერების წყაროსაკენ წამოვედი. მითხრეს: აქეთაო. სად არის მერე? ერთ ბილიკს დავადექ და მალე გათავდა. მეორეც მივაგნე და აი უღრან ტყეში შემომიყვანა. ახლა სად გინდა რომ წავიდე? მგონია, აწი მალე დაღამდება... საიდაც მგლები ღმუიან... მესმის ტურების კივილიც... არა! ვერ ავცდები მე საშინელ ბედისწერას...

ვიჩქარებ... დაღამებამდის კიდევ დრო იქნება: აგერ ახლა არ იყო რომ ავდექი! მაშ, ასე მალე როგორ დაღამდება? ჩქარა გავექანები; ყოველივე დაბრკოლებას გადავლახავ და უთუოდ მივალ ბედნიერების წყაროსთან. მერე კი რაღა მიჭირს! ამბობენ, და დილას დედამაც მითხრა, ვინც მის წყალს დალევს, მწუხარება ვერ მიეკარებაო. ოხ! რა კარგია ბედნიერების წყარო, ბედნიერების წყარო! ვაიმე, დედა, დასწყევლოს ღმერთმა! ჯირკი ყოფილა, ვეღარ შევამჩნიე და თავ-პირი დავიტვრიე.

— ვაიმე, ვაიმე! რა საშინლათ მტკივა თავი...

ღმერთო! საკვირველებაა სწორეთ... დილას ბევრი წამოვიდენ წყაროსაკენ და ეხლა კი არვინა სჩანს... უთუოდ ისინიც გზას აცდენ მოდი დავუძახებ; „აუ! აუ!" ჩუ!.. ვიღაცა იძახის. აბა, კიდევ: „აუ! აუ!" არავინაა... ეს მხოლოდ ტყის გამოძახილია... რა მეშველება ნეტა? ნუ თუ ისე დამიღამდება, წყაროს ვერ ვიპოვი? სკვინჩა, წრიპინით გული ნუ შემიწუხე; შენ კი რას დამჩხავი თავზედ, შავო ყორანო!

დავიღალე... საშინლათ დავიღალე... გზის მოძებნის ფიქრმა თმა სრულიად გამითეთრა, ფერი დამიკარგა, ჩამომახმო და სიკვდილის აჩრდილს დამამსგავსა... მაგრამ ჯერ კიდევ სულით მთლათ არ დავეცემი: გზას მოვძებნი, უეჭველათ მოვძებნი... აგერ ნაკვალევია... ვიღაცას ხეზე რაღაც წაუწერია... ბიჭოს! გზა თანდათან ფართოვდება. აი, ღმერთო, შენს მადლს! მალე წყაროს ვნახავ; მეც დავლევ და ჩემიანებსაც წავუღებ... სიხარულისაგან ძალა მიორკეცდება და ბავშსავით ხტუნვით მივდივარ... ვეხვევი... ვკოცნი ხან ერთ ხეს და ხან მეორეს...

რა კარგათ ვგრძნობ თავს. მალე ჩემი ტანჯვებიც გათავდება. საწყალო მამა!.. შენ ხომ შუა გზამდისაც ვეღარ მოდი და საშინელ ტანჯვაში სული ამოგხდა; მაგრამ, მამილო, სამარეში ჩამოგძახებ, რომ შენმა შვილმა მიზანს მიაღწია. ღმერთო, როგორის სიხარულით მიძგერს გული!..

აჰ? ეს რა ამბავია? სად მოვედი ნუ თუ გზა აწი აღარსად მიდის? ხეები ერთმანეთს გადაჭკონებია, ჩირგვები და ეკლები ერთმანეთში გადახლართულა. ტყეში სინათლე ვეღარ ჩამოდის... სად წავიდე ეხლა? გზა ხომ გათავდა... წყარო არ არის! ღმერთო, რათ მტანჯავ? მეყო წვალება... ნუ თუ ჩემმა გაფითრებულმა სახემ ვერ მოალბო შენი გული? შეხედე: ჩემი ხელები და ფეხები სისხლით შეიღება. სხეული, ხეებზე ნახათქუნები მთლად დამილურჯდა. ძალა გამოელია... ოხ! ოხ! ოხ! გულამოსკვნით მწარეთ ვქვითინებ და მოწყვეტილი პირქვე ვეცემი.

აბესალომ ტაბიძე.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 20 დეკემბერი. საღამოს ოფიციალური ცნობა. ბელგიაში ჩვენი საველე და სასანგრო ზარბაზნების ყუმბარებმა მტრის სიმაგრეებს დიდი ზარალი მიაყენა. ორ ადგილას ცეცხლი გაჩნდა. ავაფეთქეთ ტყვია წამლის საწყობი. ჩვენმა ბატარეამ გაფანტა გერმანელების რაზმი, რომელიც ავანკურიდან ვალენკურისკენ მიმავალი გზატკეცილით მოდიოდა. მაასის მარჯვენა ნაპირზე, შევალიეს ტყეში, ჩვენს ენერგიულ სროლას შედეგათ გერმანელების რამდენიმე ბლოკჰაუზის დანგრევა მოყვა. გერმანელების შორს მტყორცნელმა ზარბაზანმა ორი ყუმბარა ესროლა ქალ. ნანს, რასაც დაუყონებლივ უპასუხა ჩვენმა ბატარეამ. გარტმანსვეილერკოფის რაიონში მტერმა გაძლიერებული ცეცხლი დაუშინა ჩვენს პოზიციებს, რამაც გვაიძულა ფრონტიდან 200 მეტრის მანძილზე უკან დაგვეხია ზეოზის დასავლეთ ფერდოებისკენ—რეფელზენის სამხრეთით. ქვეითა ჯარს იერიში არ მიუტანია მტერზე.

ჰავრი. 20 დეკემბერი. ბელგიის ცნობა. ჩვეულებრივ საარტილერიო სროლის გარდა ფრონტზე არსებითად არაფერი ცვლილება ყოფილა.

რომი. 20 დეკ. იტალიის მთავარი ბანაკის ცნობა. 19 დეკემბრის ღამეს ლაგარინის ჭალაში მტერმა რამდენიმე მცირე იერიში მოიტანა. იერიში ჩვენ იოლათ მოვიგერიეთ. კოლდოლანოსა და რომბონის მთის ფერდობებიდან—პლეცოს ჭალაში ჩვენ ხელში ჩავიგდეთ რამდენიმე ტყე, იარაღი და სამხედრო მასალა. 19 დეკემბერს მტრის მფრინავებმა ყუმბარები ჩამოყარეს მარკოში ლაგარინის ჭალასა და აგრეთვე სტრინო-პორბოში სუგანის ჭალაში. ყუმბარებს ზარალი არ მოუყენებია.

ლონდონი. 20 დეკ. ინგლისის მთავარი ბანაკის ცნობა. საფრანგეთში ფრონტის გასწვრივ ჩვეულებრივი სროლაა. სვენშინის აღმოსავლეთით მტერმა ააფეთქა ნაღმი. ჩვენ ავაფეთქეთ სამი ნაღმი.

გაუგებრობა.

წარსულს აგვისტოში სამხედრო ბეგრის მოსახდელათ გაუწვევიათ ერთი პატარა ბიჭი გვარათ ლვინეფაძე. ამ ბიჭს სრულიად ბავშვის შეხედულება აქვს და ავათ მყოფიცაა. მართლაც ექიმებს უცვნიათ არაჯანმთელათ და ერთი წლით გაუთავისუფლებიათ. კომისიის დროს რომ ბიჭისთვის მამის სახელი უკითხავთ, უთქვამს ვარდენი, რომელი სახელითაც თურმე ხშირათ იხსენიებდენ (ბიჭს მამა არ ახსოვს, რადგან დიდიხნის მკვდარია), მართლა-კი ბიჭის მამას თურმე გიორგი რქმევია. როდესაც ბიჭის თავისუფლების ბილეთი მამასახლისს მისვლია და ამოუკითხავს, რომ ვარდენის-ძე არის თავისუფალი და არა გიორგის-ძე, მიუხვდავათ იმისა, რომ მეტი არც ვარდენის-ძე და არც გიორგის-ძე თავის სამამასახლისოში ამ გვარისა და სახელის არ ყოლია, ბიჭი შეუწუხებია ხელახლათ გამოცხადდეო. ბოლოს როგორც სჩანს თავის საჭირო საქმისთვის წამოსულა თან წამოუყვანია ეს ბიჭიც და ბილეთიც გამოსარკვევათ. გაბრუნების შემდეგ უთქვამს ბიჭისთვის: მომეცი 50 მ.ნ. და გაგათავისუფლებო. ბიჭს ფული ვერ მიუცია, რისთვისაც მამასახლისს სასტიკი ზომები მიუღია, რის შემდეგაც იძულებული გამხდარა საქმის გამოსარკვევათ ქუთაისში ჩამოსულიყო. რადგან რუსული არ იცოდა თარჯიმნათ წამოუყვანია ვიღაც შორეული ნაცნობი „გოროდოვოი", რომლისათვისაც გასამრჯელოთ 2 მან. მიუცია. „გოროდოვოის" მიღებული ორი მანეთი ჯიბეში მოუმწყვდევია და რადგან ბიჭის ბიოგრაფია გაუგია, როგორც დაჭერილი ისე წარუდგენია კანცელარიაში. მწერლები სამხედრო უფროსის კანცელარიისა გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩავარდენ. ეძებდენ ამ ბიჭის გვარსა და სახელს გაქცეულების სიაში და ვერ ნახულობდენ. უკანასკნელათ შეპირდენ ცოტა ხნის გამორკვევის შემდეგ გაშვებას, თუმცა „გოროდოვოის" მიყვანის წყალობით ბიჭის საქმის გამორკვევამდი იქ ამოაყოფინეს თავი, სადაც გაქცეულ სალდათებს ათავსებენ ხოლმე. აი, რა ოინებს სჩადიან დღესაც მოსე მწერლის მოძღვრების მიმდევარი ბ. მამასახლისთა უმრავლესობა.

იოსებ მიძიშვილი.

რედ.-გამომც. ი. თ ცინცაძე

სად გაიგებთ ცნობებს მოკლულთა, უგზო-უკვლოთ დაკარგულთა, დაჭრილთა და დატყვევებულ ჯარისკაცთა შესახებ.

1. მოკლულთა და უგზო-უკვლოთ დაკარგულთა შესახებ უნდა მიმართოთ შემდეგ ადრესით: Петроградъ, Караванная ул., д. № 1, особое дѣлопроизводство Главнаго Штаба.

2. დაჭრილთა შესახებ ცნობების მისაღებად საჭიროა მიმართოთ: Петроград. Басковская ул. д. № 12. Справочный отдѣл при Главномъ Управленіи Россійскаго Краснаго Креста.

3. ტყვეთ წაყვანილთა შესახებ უნდა მიმართოთ: Петроградъ, Инжинерная, д. № 9, Центральное справочое. бюро о военноплѣнныхъ при Главномъ Управленіи Россійскаго Краснаго Креста.

ცნობის მისაღებათ აუცილებლათ საჭიროა გარკვევით აჩვენოთ სახელი, მამის სახელი, გვარი და აღნიშნოთ ჯარის ის ნაწილი (კორპუსი, პოლკი და როტა), სადაც ჯარისკაცი მსახურობდა.

წერილში უნდა აღინიშნოს აგრეთვე სწორი ადრესი შემკითხველისა (სახელი, მამის სახელი, გვარი და გუბერნია, მაზრა და სოფელი, სადაც თვით სცხოვრობს).

მატარებლების მიმოსვლა.

ქ. ქუთაისს შემოდის.

ტფილისიდან	— დილის	[illegible]
„	— საღამ.	— 6 ს. 57 წ.
ბათომიდან	— დილით	— 1 ს. 25 წ.
„	— ღამის	— 2 ს. 23 წ.
ფოთიდან	— დილის	— 10 ს. 8 წ.
ტყიბულიდან	— საღამოს	— 7 ს. 39 წ.
შორაპნიდან	— დილის	— 9 ს. 18 წ.

ქ. ქუთაისიდან გადის.

ტფილისისაკენ	— დილის	— 11 ს. 55 წ.
„	— ღამის	— 1 ს. 7 წ.
ბათომისაკენ	— დილით	— 5 ს. 30 —
„	— დილის	— 4 ს. 27 წ.
ფოთისკენ	— დილით	— 4 ს. 27 წ.
ტყიბულისკენ	— დილის	— 6 ს. 20 წ.
შორაპნისაკენ	— დილ.	— 5 ს. — —

მმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)
მიღებულია დიდძალი
საპნის გასაკეთებელი „სოდა"
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

„სორაპნის" გამოცემა.
დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად ქართული
კედლის კალენდარი 1916 წ.
შედგენილი გრ. ჩარკვიანისა და მ. გაჩეჩილაძის მიერ.
ჯიბის—სახალხო კალენდარი 1916 წლისა
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.
ვისაც სურს „პარტიით" იყიდოს, მან უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით:
ტფილისი, სტამბა „სორაპანი", მ. გაჩეჩილაძეს
და ქ. ქუთაისში, თ. მაავრიშვილის წიგნის მაღაზიაში. 15—14

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია
ალექსანდრე ი. კოსტავასი
თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.
ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსახურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანთსაცმელები. აქვე იშოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეთული ყოველგვარი მატერიები. **რიგიან ფასებში**, რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ.

უძლურება და ნევრასტენია.
უძლურობისა და ნევრასტენიის დროს ავათმყოფები დიდი სიფრთხილის უნდა მოიქცენ სამკურნებელ საშუალებათა ამორჩევაში. ბევრგვარი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამაგრებს ნევრიულ სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითარებენ ავათმყოფობას. ნამდვილ მეცნიერულათ მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებათ უძლურობის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი
გრანული ექ. გლეზინისა.
გრანული ექ. გლეზინისა მრავალნაირათ გამოსცადეს ევროპის სხვილ კლინიკებში და მეცნიერების წარმომადგენლებისაგან ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის სქესურ იმპოტენციის და ნერვიულ სისუსტის წინააღმდეგ წამლობისათვის.
გრანული ექ. გლეზისა პირდაპირ მოქმედებს ნერვიულ—სქესურ ცენტრზე, რომელიც სქესურ მოქმედებას ხელმძღვანელობს, ამაგრებს მათ, სპობს სისუსტეს და ანახლებს ნორმალურ სქესურ ფუნქციებს. ამასთანავე **გრანული** მთელს ნერვიულ სისტემას ასაზრდოებს ფოსფორით, ახალებს მთელს ნერვიულ ძაფებს, სპობს სისუსტეს, უმატებს ძალას, სპობს სულით დაავათმყოფობას, გულის ცემას, თავის ტკივილს და სხვა ნიშნებს ნევრასტენიისას.
გრანული ექ. გლეზისა—ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც აუცილებლათ ურჩევენ გამოჩენილი პროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინააღმდეგ და დიდი წარმატებით ხმარობენ ევროპის სანატორიებში, კლინიკებსა და საავათმყოფოებში.
გრანული იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა" **ა. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში.
ფასი ერთი ყუთისა—5 მანეთი. სრულ გათავისუფლებისათვის საჭიროა 2—3 ყუთი.
მრავალ მოწონებათა შორის, რომელიც გამოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა, და ავათმყოფების მიერ, უადგილობის გამო აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის—სტატსკი სოვეტნიკის ვ. ვ. ხრულის 50 წლის პრაქტიკანის აზრი ამ წამლის შესახებ.
მ. ხ. ექ გლეზის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვიხმარე სამი მხცოვანი ავათმყოფის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ექ. გლეზისა შეუდარებელ და უტყუარ საშუალებათ ვსცანი. თუნდაც მცირე დოზა საწყაო დღეში ორჯერ რომ მიიღოს ავათმყოფმა, ათი დღის შემდეგ უკვე დარწმუნდება ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაქტიკის დროს მე ბევრგვარი საშუალება მიხმარია ახლათ თუ ძველათ გამოგონილი, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ გლეზის პრეპარატს პირველი ადგილი უკავია მათ შორის ნერვების გამაგრებისა და კაცობის აღდგენაში.
დოკტ. სტ. სოვ. ვიკენტი ვიკენტის ძე **ხრული**. ქ. ოდესა.
(წლიური)